საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, კოსტავას ქ. №43 მდებარე შენობის რეაბილიტაციის სამუშაოების ჩატარებისას მასზე შესაძლო ზიანის მიყენების თაობაზე

შენობა სამსართულიანია სარდაფით და მანსარდის სართულით. მთავარ ფასადით კოსტავას ქუჩაზე მდებარეობს. აგებულია სავარაუდოდ XIX საუკუნის დასასრულს.

კედლები - რუსული აგურისა ცემენტ-ქვიშის ხსნარზე.

გადახურვები – სარდაფის სართულზე – აგურის თაღები ლითონის კოჭებზე. სართულებზე – ბეტონის თაღები ლითონის კოჭებზე.

სარდაფის სართულში აღინიშნება ტექნიკური წყლის შეღწევა, რაც ძირითადი მიზეზი გახდა რიგი დეფორმაციების განვითარებისა.

2014 წლიდან შენობის სამივე სართულზე ეზოს ფასადის მხრიდან ჩატარებულია სარეაბილიტაციო სამუშაოები – კერძოდ გამოცვლილია დაზიანებული სახურავი, სართულშუა გადახურვები, გაძლიერდა კედლების წყობა ლითონის კორსეტების საშუალებით. დაიშალა ხის აივანი და ერკერი და ხდება მათი აღდგენა სამივე სართულზე.

სახლის ტორცული კედელი კოსტავას ქ. №45 მდებარე სასტუმროს შენობის მხარეს რეაბილიტაციის ღონისძიების შედეგად ძლიერდება.

ეზოს მხარეს შენობის გასწვრივ ეწყობა სადრენაჟო მილსადენი.

ჩამოთვლილი სამუშაოების ჩატარება სამშენებლო სამუშაოთა წარმოების უსაფრთხოების პირობების დაცვით არ წარმოქმნის მეზობლად მდგარ შენობაზე რაიმე დაზიანების საფრთხეს.

ექსპერტი, ინჟ. კონსტრუქტორი

ლიც. №3701 გ. ხომერიკი

22.07.15